საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030697006696420

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3458

14 / აგვისტო / 2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის მინისტრის
მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 13044
18 08 2020
21760

ქალბატონო ნინო,

თქვენს 2020 წლის 7 აგვისტოს N7590/01 წერილზე, ქ. თბილისში, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ტერიტორიაზე, სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენები) ინსინერაციის ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს:

როგორც ჩვენი 2020 წლის N06/2876 01 წერილით (სამინისტროს რეგისტრაციის N12102) გაცნობეთ, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე მდებარე რ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევით ცენტრში გეგმავს ახალი, მოდერნიზებული „PYROLYTIC“ ფირმის, CP-50-A ტიპის ინსინერატორის მონტაჟს. საპროექტო ინსინერატორის წარმადობა იქნება 50-60კგ/სთ. ტერიტორიაზე დღესდღეობით ფუნქციონირებს 25 კგ/სთ წარმადობის ინსინერატორი, რომელზედაც 2009 წლის 29 იანვარს გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის N2-148 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დაგეგმილი საქმიანობის მიხედვით, ახალი ინსინერატორის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ. ძველი ინსინერატორი დარჩება ტერიტორიაზე რეზერვის სახით და მისი გამოყენება მოხდება მხოლოდ საპროექტო ინსინერატორის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში. ორივე ინსინერატორის ერთდროულად მუშაობა არ არის გათვალისწინებული.

იქიდან გამომდინარე, რომ საქმიანობაზე, კანონმდებლობის შესაბამისად, გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, დაგეგმილი საქმიანობა, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, განიხილება სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად, თუმცა ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებლის გადაწყვეტილებით პროექტი გაივლის გზშ-ს პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის გათვალისწინებით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის

ტერიტორიაზე (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა)'' სკოპინგის ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

1. ,,ქ. თბილისში სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო ნარჩენების) ინსინერაციის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის'' სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი;

2. ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია და საპროექტო ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით - 1 CD;

3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

პაატა იმნაძე